საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თბილისის ცენტრალური პედაგოგიური ინსტიტუტი

თბილისის ცენტრალური პედაგოგიური ინსტიტუტი მ. ორახელაშვილის სახელობისა, უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებელი, გაიხსნა 1923 თბილ. პედ. ტექნიკუმის ბაზაზე. მდებარეობდა ახლანდ. დ. უზნაძის ქუჩაზე, პირველი დირექტორი იყო გ. ნათაძე. 1924 ინ-ტს მარიამ ორახელაშვილის სახელი მიენიჭა. სწავლების ვადა თავდაპირველად 2, შემდეგ კი 3 წელი იყო. მასში იღებდნენ ცხრაწლედ ან ტექნიკუმდამთავრებულებს. ინ-ტი ძირითადად ამზადებდა შვიდწლედის მასწავლებლებს. ჰქონდა 2 ფაკ-ტი: სოციოლოგია-ლიტ-რისა და საბუნებისმეტყველო-მათემატიკური. სასწ. გეგმაში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი პედ. დისციპლინებს. თ. ც. პ. ი. 1928 დაიხურა; სტუდენტები ჩაირიცხნენ თსუ-ის პედ. ფაკ-ტის შესაბამის განყოფილებებზე, ხოლო 2 წლის კურსდამთავრებულებს უფლება მიეცათ სათანადო სტაჟის შემდეგ ჩარიცხულიყვნენ უნ-ტის პედ. ფაკ-ტის III კურსზე.

დ. გურგენიძე